

## ქართული ენის კომპოზიტა ორთოგრაფიული ლექსიკონი კონცეფცია

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება გეგმავს „ქართული ენის კომპოზიტა ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მომზადებას. ნაშრომი იქნება პირველი ამ სახის გამოცემა საქართველოში. ლექსიკონი გამოქვეყნდება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

ლექსიკონში აისახება კომპოზიციასთან დაკავშირებული მართლწერის პრობლემები. რაკი ნაშრომი ორთოგრაფიული ხასიათისაა, მასში რთულ სიტყვათა გარდა სალექსიკონო ერთეულებად წარმოვადგენთ კომპოზიტებისაგან წარმოქმნილ სახელებსაც (დედაშვილური, სტუმარმასპინძლობა...), აგრეთვე – შესიტყვებებს, რომლებიც კომპოზიტა მოცილე ფორმებია დაწერილობის თვალსაზრისით (მაგ., გულის ტკივილი აწუხებს, მაგრამ – გულისტკივილით უთხრა...).

ლექსიკონში ორთოგრაფიულად წარმოდგენილი იქნება:

- ფუძეგაორმაგებული კომპოზიტები (თავთავი...);
- სხვადასხვაფუძიანი კომპოზიტები (დედ-მამა...);
- კომპოზიტური ზმნები (აიარ-ჩაიარა...);
- კომპოზიტის ფუძისაგან წარმოქმნილი სახელები (ცოლშვილიანი...);
- კომპოზიტებისაგან ნაწარმოები ზმნები (ჭიკჭიკებს...);
- კომპოზიტა მოცილე შესიტყვებანი (გულის ტკივილი...).

\*\*\*

კომპოზიტა მართლწერის სირთულეს განაპირობებს მათი შემადგენელი ნაწილების ნაირგვარობა.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ერთ-, ორ- და მეტცნებიან თხზულ (რთულ) სიტყვებს, შერწყმულ სახელებს (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...), აგრეთვე – ერთ-, ორ- და მეტმნიშვნელობიან რთულ სახელებს (ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი...) და სხვ.

კომპოზიტა ლექსიკონის შესადგენად უნდა გამოვიყენოთ იმგვარი კლასიფიკაცია, რომელიც მოგვცემს ორთოგრაფიების სისტემურად აღწერის საშუალებას. წარმოდგენილ კონცეფციაში სწორედ ამ სახის კლასიფიკაციაა შემოთავაზებული. იგი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, კომპოზიტა წარმოებას, მეორე მხრივ, მეტყველების ნაწილთა როლს კომპოზიციის პროცესში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ენის კომპოზიტა ორთოგრაფიულ ლექსიკონში გათვალისწინებული იქნება იმ სახის კომპოზიტური ფორმები, რომლებიც ჯერ არ ყოფილა განხილვის ობიექტი (ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ახლად შექმნილ რთულ სახელებს: ბიზნესგეგმა, ვებგვერდი, ინტერნეტგამოცემა, მედიასივრცე და სხვ.).

კომპოზიტები ორი სახისაა: ფუძეგაორკეცებული და სხვადასხვაფუძიანი.

\* \* \*

არსებით სახელებში ფუძის გაორკეცება ძირითადად ორგვარია: ფუძეუცვლელად გაორკეცება (თავთავი...) და გაორკეცება ფუძეში ცვლილებით, კერძოდ:

ა) თანხმოვნის ჩავარდნით (ქუთ[ქ]უთო...);

ბ) ხმოვნის შენაცვლებით ერთ-ერთ კომპონენტში (ბალახბულახი, ნაყარნუყარი...);

გ) ხმოვნისა და თანხმოვნის შენაცვლებით ან თანხმოვნის დამატებით (ქობმახი... არემარე...) და სხვ.

ნაირგვარია ფუძეგაორკეცებული ზედსართავი სახელებიც:

ა) ზედსართავის ფუძე უცვლელად მეორდება (წითელ-წითელი, ცხელ-ცხელი...);

ბ) გაორკეცებისას იცვლება კომპოზიტის პირველი ან მეორე ნაწილი (წერწეტი... უსწორ-მასწორო, უზარმაზარი...).

ცალკეულ შემთხვევებში რთული ზედსართავი მიიღება არსებითი სახელის ფუძის ან ბრუნვის ფორმის გაორკეცებითაც, მაგ., **პირი** და **თავი** არსებითი სახელებია, **პირდაპირი** და **თავიდათავი** (= უმთავრესი, მთავარი) – ზედსართავები (**პირდაპირ** ზმნიზედაა).

\* \* \*

რაც შეეხება სხვადასხვა ფუძისაგან მიღებულ რთულ სახელებს, ისინი შინაარსის მიხედვით ორგვარია: ერთცნებიანი (ვაჟიშვილი...) და ერთზე მეტცნებიანი (დედ-მამა...).

ერთცნებიანი რთული არსებითი სახელი შეიძლება მივიღოთ არსებითისა და არსებითისაგან (მამაკაცი...), ზედსართავისა და არსებითისაგან (ავდარი...), რიცხვითისა და არსებითისაგან (ორშაბათი...).

სხვადასხვა ფუძისაგან შედგენილი კომპოზიტების პირველი ნაწილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფუძის სახით ან ბრუნვის ფორმით:

I. კომპოზიტის პირველი ნაწილი წარმოდგენილია ფუძის სახით:

კომპოზიტი შედგება რამდენიმე (ჩვეულებრივ, ორი) არსებითი სახელის ფუძისაგან. მათ შენარჩუნებული აქვთ თავ-თავიანთი მნიშვნელობა (დედა-მამა, და-ძმა...). ამ სახის რთულ სახელებში შეიძლება გაერთიანდეს:

ა) სინონიმები (მალ-ღონე, ბედ-იღბალი...);

ბ) ანტონიმები (დედალ-მამალი, სიკვდილ-სიცოცხლე, აღმართ-დაღმართი...);

გ) რაიმე ნიშნის მიხედვით ახლო მდგომი სიტყვები (თვალ-წარბი, ხელ-ფეხი...).

სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიიღება ზედსართავი სახელებიც:

1. სინონიმური (შიშველ-ტიტველი, ღარიბ-ღატაკი...);

2. ანტონიმური (დიდ-პატარა...);

3. რაიმე ნიშნის მიხედვით ახლო მდგომი (მშვიერ-მწყურვალი, ქართულ-ამერიკული...).

კომპოზიტური ზედსართავის შემადგენელი ნაწილები შეიძლება იყოს აგრეთვე:

1. არსებითი (საზღვრული) და ზედსართავი (მსაზღვრელი): ენამწარე, ჭკუათხელი...;
  2. არსებითი და მიმღობა: გულგატეხილი, გულდაწყვეტილი... (არსებითი შეიძლება მრავლობითი რიცხვის ფორმითაც იყოს წარმოდგენილი: ყურებჩამოყრილი, ფრთებშეკვეცილი...);
  3. ზედსართავი და არსებითი (დიდგული, ძვირფასი...);
  4. რიცხვითი და არსებითი (ერთგული, ორპირი...).
- ზოგჯერ ზედსართავის ორივე ნაწილი არსებითი სახელია (გულქვა).

II. კომპოზიციის პირველი ნაწილი წარმოდგენილია ბრუნვის ფორმით:

- ა) პირველი კომპონენტი გამოხატულია სახელობითით (ვაჭიშვილი, ბერიკაცი...);
- ბ) პირველი ნაწილი დასმულია მიც. ბრუნვაში, თუმცა ნიშანი (ს), ჩვეულებრივ, იკარგება: თავმჯდომარე (← თავსმჯდომარე), პირჯვარი (← პირსჯვარი)...
- გ) არსებითის პირველი კომპონენტი ზოგჯერ მოქმ. და ვით. ბრუნვის ფორმებითაც წარმოდგება (ქვითკირი, ყურადღება...).

ყველაზე ხშირად პირველი კომპონენტი ნათ. ბრუნვაშია დასმული. ის მართული მსაზღვრელია – მხოლობითი ან თანიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოხატული (ცისკარი... ხუროთმოძღვარი...). ბრუნვის ნიშანი შენახულია ან მოკვეცილი (ნაწილობრივ თუ მთლიანად):

1. ნათესაობითის ფორმა (მხოლობითი თუ მრავლობითი რიცხვისა) წარმოდგენილია სრული დაბოლოებით (ცისკარი, ძმისშვილი... მკათათვე...);
2. ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ნაწილი (ს) მოკვეცილია (ტანისამოსი ← ტანისსამოსი, მამიდა ← მამისდა, შვილიშვილი ← შვილისშვილი...);
3. ნათ. ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია მთლიანად (პირსახოცი ← პირისსახოცი, ფეხსაცმელი ← ფეხთსაცმელი...).

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კომპოზიციის პირველი ნაწილი ზმნიზედითაა გამოხატული (ქვემდებარე, უკანდასახევი...).

კომპოზიციაში მონაწილეობენ ასევე თანდებულები (თანამშრომელი...), ნაწილაკები და კავშირები (არათუ...) და შორისდებულები (ვიშივიში...). გარდა ზემოთ დასახელებული შემთხვევებისა, გამოიყოფა მეტყველების ნაწილთა სხვადასხვაგვარი კომბინაციებით მიღებული რთული სიტყვები, რომლებიც სრულად იქნება ასახული ლექსიკონში თავ-თავიანთი ორთოგრაფიის გათვალისწინებით.

ნაშრომი დაემყარება მართლწერის წესებს, რომლებიც განისაზღვრება რთულ სიტყვათა სტრუქტურული მოდელების მიხედვით.

კომპოზიტების მართლწერისას ორი ძირითადი საკითხი დაისმის:

- რომელი კომპოზიტი უნდა დაიწეროს დეფისით და რომელი – უდეფისოდ: გულგატეხილი თუ გულგატეხილი? ციხე-სიმაგრე თუ ციხესიმაგრე?...
- როდის გვაქვს შესიტყვება და როდის – კომპოზიტი: გულის ტკივილი თუ გულისტკივილი? ავის მომასწავებელი თუ ავისმომასწავებელი?...

ამ პრობლემათა მოგვარების შედეგად დაზუსტდება რთულ სიტყვებთან დაკავშირებული ნორმატიული საკითხები და მომზადდება **კომპოზიტთა ორთოგრაფიული ლექსიკონი**; გამოიცემა ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები.

ბეჭდურ ვერსიაში გამოყენებული იქნება შემდეგი პირობითი ნიშნები:

[და არა...] – სწორი ფორმის მომდევნო უმართებულო ვარიანტი, მაგ., **პირისახე** [და არა პირი-სახე]

[კი არა...] – სწორი ფორმის წინამავალი უმართებულო ვარიანტი, მაგ., [გულ-გატეხილი **კი არა**] **გულგატეხილი**

...//... – სალიტერატურო ენაში თანაბარი მნიშვნელობის (თუ ფუნქციის) მქონე ფორმები, მაგ., **ათვალიერ-ჩათვალიერებს // ათვალ-ჩათვალაიერებს...**

ზოგ სალექსიკონო სტატიაში გამოყენებულია კავშირი **მაგრამ**, რომელსაც ფაქტობრივად პირობითი ნიშნის ფუნქცია აქვს, რადგან ერთმანეთისაგან მიჯნავს სხვადასხვა დაწერილობის შემთხვევებს, მაგალითად: **სტუმარ-მასპინძელი**, **მაგრამ – სტუმარმასპინძლობა, სტუმარმასპინძლური...** (ეს უკანასკნელნი წარმოქმნილი სახელებია, რომლებიც ფუძედ იყენებენ კომპოზიტს).

ცალკეულ შემთხვევებში კომპოზიტთა დაწერილობის ასახსნელად (**მაგრამ** კავშირთან ერთად) ორთოგრამას შეიძლება ახლდეს მოკლე კონტექსტი თუ შესიტყვება, მაგალითად: **გულისტკივილით** აღნიშნა, **მაგრამ გულის ტკივილი** აწუხებს.

რაც შეეხება კომპოზიტურ ზმნებს, ისინი ლექსიკონში გათვალისწინებული იქნება საკვანძო ფორმებით: მესამე პირის მხოლოებითი რიცხვი – აწყო ან მყოფადი, წყვეტილი, პირველი და მეორე თურმეობითები. თავისებური წარმოებისას მრგვალ ფრჩხილებში მიეთითება პირველი და მეორე პირის ფორმებიც.

ლექსიკონის ბეჭდურ ვერსიაში ცალკე თავად იქნება წარმოდგენილი „კომპოზიტთა მართლწერის წესები“. ნაშრომის ეს ნაწილი შეასრულებს ერთგვარი გზამკვლევის როლს და გაუადვილებს ლექსიკონით სარგებლობას ნებისმიერ მომხმარებელს.

„ქართული ენის კომპოზიტთა ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მოსამზადებლად შეიქმნება მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სალექსიკონო მასალის სისტემურ დამუშავებას. დღეისათვის უკვე არსებობს ბაზის პირველი ვერსია, რომელშიც მონაცემები სწორედ ზემოთ წარმოდგენილი მახასიათებლების (წარმოების ტიპები, მეტყველების ნაწილები) მიხედვითაა განთავსებული.

ამავე ბაზაზე დაყრდნობით მომზადდება ლექსიკონის ელექტრონული ვერსია – ბეჭდური გამოცემის ციფრული ანალოგი. მომხმარებელი ორთოგრამების მოძიებას შეძლებს ავტომატურად. თითოეულ სალექსიკონო ერთეულთან მიეთითება ის ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია ბეჭდურ ვარიანტში.

როგორც ცნობილია, კომპოზიტთა დაწერილობის საკითხი ქართულში ორთოგრაფიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. შესაბამისად, კონცეფციით გათვალისწინებული ნაშრომი უმთავრესი ნაწილი იქნება „თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი გამოცემისა.

## ლიტერატურა

- ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
- შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
- შ. აფრიდონიძე, ხმაბაძვითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები ქართულში, წიგნი X, თბილისი, 1993.
- შ. აფრიდონიძე, რთული შედგენილობის მიკროტოპონიმთა მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, თბილისი, 1983.
- ახალი ქართული ენა, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, წიგნი I, გიორგი გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის რედაქციით, თბილისი, 2016.
- ახალი ქართული ენა, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, წიგნი II, გიორგი გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის რედაქციით, თბილისი, 2016.
- თ. ბურჭულაძე, ერთი ტიპის რთულ სიტყვათა დაწერილობისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთხუთმეტე, თბილისი, 2015.
- თ. ბურჭულაძე, ერთი სახის კომპოზიტური შერწყმული დანართის მართლწერისათვის, სალიტერატურო ენის საკითხები, I, თბილისი, 2020.
- თ. ბურჭულაძე, ერთი ტიპის სახელწოდებათა (მაგთი ჯგუფი, სითი მოლი...) მართლწერისათვის, სალიტერატურო ენის საკითხები, II, თბილისი, 2021.
- ქ. დათუკიშვილი, დეფისიან კომპოზიტთა მართლწერისათვის ქართულში, სალიტერატურო ენის საკითხები, III, თბილისი, 2022.
- ქ. დათუკიშვილი, გულის შემცველ მართულმსაზღვრელიან კომპოზიტთა დაწერილობისათვის, სალიტერატურო ენის საკითხები, I, თბილისი, 2020.
- თ. ვაშაკიძე, თავზე ხელადებული თუ თავზეხელადებული? ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეჩვიდმეტე, თბილისი, 2017.
- ვ. იმნაიშვილი, რთულ სიტყვებსა და შესიტყვებებში დეფისის ხმარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, „ქართული მართლწერის სადავო საკითხები“, თბილისი, 2016.
- ვ. კალანდაძე, რთული სახელებისაგან (კომპოზიტებისაგან) ნაწარმოები ზმნებისა და რთული ზმნების მართლწერისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეორე, თბილისი, 1979.
- ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი, 2018.
- ანტ. კიზირია, ფუძის რედუპლიკაცია, როგორც წინადადების მეორეხარისხოვანი წევრის გაფორმების საშუალება, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბილისი, 1984.
- ა. კობახიძე, ზოგი რამ კომპოზიტის დაწერილობისათვის (ლექსიკონებში სოკოს აღმნიშვნელი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით), ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთორმეტე, თბილისი, 2004.
- მ. ლაბარტყავა, ერთი სახის კომპოზიტთა (თუ ტერმინთა) დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთხუთმეტე, თბილისი, 2015.
- მ. ლაბარტყავა, ხან ფუძის შემცველ კომპოზიტურ ზმნისართთა მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი ოცდამეერთე, თბილისი, 2021.
- მ. ლაბარტყავა, დარღვევებისათვის ერთი სახის კომპოზიტთა დაწერილობისას (კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია), ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი, მეოცე, თბილისი, 2020.

მ. ლაბარტყავა, ერთი ტიპის კომპოზიტთა დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLIII, თბილისი, 2015.

მ. ლაბარტყავა, რამდენიმე სახის ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა მართლწერისათვის, სალიტერატურო ენის საკითხები, III, თბილისი, 2022.

მ. ლაბარტყავა, დარღვევებისათვის ერთი სახის კომპოზიტთა დაწერილობისას (კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია), სალიტერატურო ენის საკითხები, I, თბილისი, 2020.

მ. ლაბარტყავა, ხან ფუძის შემცველ კომპოზიტურ ზმნისართთა მართლწერისათვის, სალიტერატურო ენის საკითხები, II, თბილისი, 2021.

ვ. მაღრაძე, ნასესხები შესიტყვება-კომპოზიტები მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთექვსმეტე, თბილისი, 2016.

ვ. მაღრაძე, ნ. ჯორბენაძე, -ებ თემისნიშნისანი საშუალო გვარის ფუძეგაორკეცებულ ზმნათა და შესაბამის საწყისთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში, სალიტერატურო ენის საკითხები, I, თბილისი, 2020.

ს. ომიადე, თხზულ სახელთა ნაირგვარი დაწერილობისათვის მედიატექსტებსა და ლექსიკონებში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთექვსმეტე, თბილისი, 2016.

რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.

თ. ტეტელოშვილი, რთული შედგენილობის ზოგი ბოტანიკური ტერმინის მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცამეტე, თბილისი, 2013.

თ. ტეტელოშვილი, ატრიბუტული მსაზღვრელის შემცველ ერთი სახის კომპოზიტთა მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი ოცდამეერთე, თბილისი, 2021.

თ. ტეტელოშვილი, საერთოს შემცველი კომპოზიტური სიტყვების დაწერილობისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოცე, თბილისი, 2020.

თ. ტეტელოშვილი, „საერთოს“ შემცველი კომპოზიტური სიტყვების დაწერილობისათვის, სალიტერატურო ენის საკითხები, I, თბილისი, 2020.

თ. ტეტელოშვილი, ატრიბუტული მსაზღვრელის შემცველ კომპოზიტთა მართლწერისათვის, სალიტერატურო ენის საკითხები, II, თბილისი, 2021.

თ. უთურგაძე, რთულ სიტყვათა მართლწერისათვის (მართლწერის ნორმები დეფისის ხმარებასთან დაკავშირებით), ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცამეტე, თბილისი, 2013.

ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., ტ. III, თბილისი, 1980.

არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 2008.

მ. ჩუხუა, კომპოზიციის პრობლემისათვის საერთოქართველურ ფუძეენაში, სალიტერატურო ენის საკითხები, I, თბილისი, 2020.

მ. ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, თბილისი, 1988.

მ. ჭაბაშვილი, შორის ელემენტის შემცველი რთული ფუძეების შესახებ, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, თბილისი, 1981.